



**შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლა“
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
დებულება**

1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლაში“ სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური).
2. შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლაში“ (შემდგომში „ქსს“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის ერთ-ერთ მართვის ორგანოს.
3. თავის საქმიანობაში სამსახური ხელმძღვანელობს “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
4. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ხორციელდება სისტემატურად, რაც განპირობებულ უნდა იყოს სამსახურის თანამშრომლების, დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და რექტორის კოორდინირებული მუშაობით;
5. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;
6. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას; ასევე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;
7. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული – ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

II. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აერთიანებს:

1. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს რექტორი.
2. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა წესრიგდება „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ წესდებით.
3. სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები უნდა იყოს პროფესიულ მასწავლებლთა პერსონალის წარმომადგენელი;
4. სამსახურის სამუშაო გეგმის განხორციელების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაძლებელია დამატებით ჩართოს სტუდენტები საზოგადოებრივ საწყისებზე.

III. სამსახურის ხელმძღვანელი

1. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს სასწავლებელში ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ზოგად კოორდინაციას;
2. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობებს.
3. იწვევს და ხელმძღვანელობს სამსახურის თანამშრომელთა სხდომებს;
4. ხელს აწერს სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და დოკუმენტებს.

IV სამსახურის თანამშრომლები

1. სამსახურის წევრები ახდენენ „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ყველა სტრუქტურული რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს; „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები მოქმედებენ „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ წინამდებარე დებულების შესაბამისად;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები ახორციელებენ დაწესებულების თანამშრომელთა ორგანიზაციულ და საინფორმაციო მომსახურებას,
3. სამსახურის წევრები მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგში.
4. შემუშავებული გეგმისა და დავალებების გადანაწილების გზით ახორციელებენ წინა პუნქტში მითითებული ამოცანების შესრულებას და შედეგებს წარუდგენენ სამსახურის ხელმძღვანელს;

V სამსახურის საქმიანობა

1. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული სასწავლებლის ინტეგრაციას პროფესიული განათლების საერთო ევროპულ სივრცეში;
2. სამსახურის ყოველდღიური საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ევროპაში მიღებულ სტანდარტებს;
3. სამსახურის შიდა მუშაობის ძირითადი სფეროებია:
 - ✓ პროგრამებისა განხილვა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;
 - ✓ სტუდენტთა შეფასების ფორმების შემუშავება;
 - ✓ პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფა;
 - ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება;
 - ✓ საინფორმაციო სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
4. სამსახური შეიმუშავებს შესაბამის პოლიტიკასა და „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურებს;
5. პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
6. სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობს პერსონალის დაკომპლექტების, დატვირთვის რეგულირების, სტუდენტთა მობილობის და კრედიტ სატრანსფერო სისტემის სწორი გამოყენების რეგულაციაში;
7. აფასებს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ვებ-გვერდის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან, შინაარსთან და პროფესიულ განათლებაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
8. ახორციელებს ავტორიზაცია-აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესს.
9. ატარებს პროფესიული სტუდენტების, პედაგოგიური და კლინიკური პერსონალის გამოკითხვებს, სწავლების პროცესის შეფასების მიზნით კითხვარების,

10. შეიმუშავეს რეკომენდაციებს შეფასების კითხვარების შედეგების ანალიზის საფუძველზე, სასწავლო პროცესის, სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

VI დასკვნითი დებულებანი

1. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე;
2. „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი სასწავლებლის ყველა სტრუქტურული რგოლისათვის, რომელთა შესრულება წარმოადგენს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ მიზნებისა და ამოცანების წარმატებული განხორციელების წინაპირობას.